საშუამავლო-მარკეტინგული მომსახურების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი _____._____.202__

შპს „_____“-ი (ს/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც - **„დამკვეთი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____-ის (პ/ნ _____) სახით, ერთის მხრივ და **ფ/პ** _____ _____ (პ/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც - **„შემსრულებელი“**, მეორეს მხრივ, **„დამკვეთი“** და **„შემსრულებელი“** ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები“**, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„ხელშეკრულების“** თანახმად **„შემსრულებელი“** იღებს ვალდებულებას გაუწიოს **„დამკვეთს“** საშუამავლო მომსახურება **„ხელშეკრულებით“** გათვალისწინებული წესითა და პირობებით, ხოლო **„დამკვეთი“** კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს **„ხელშეკრულებით“** გათვალისწინებული მომსახურების საფასური;

1.2. **„ხელშეკრულების“** 1.1.-პუნქტით გათვალისწინებული საშუამავლო მომსახურება (შემდეგში - **„მომსახურება“**) მოიცავს:

„დამკვეთის“ აქტივების - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებების, შენობა-ნაგებობების და სხვა აქტივ(ებ)ის (შემდეგში - „აქტივ(ებ)ი“) რეალიზაციის მიზნით პოტენციური კლიენტ(ებ)ის/მყიდველ(ებ)ის მოძიებას.

2. „მომსახურების“ ღირებულება

2.1. **„მომსახურების“** ღირებულება (საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანების ჩათვლით) შეადგენს **„დამკვეთის“** მიერ **„ხელშეკრულების“** მოქმედების პერიოდში იმ კლიენტ(ებ)ზე/მყიდველ(ებ)ზე რეალიზებული **„აქტივ(ებ)ის“ სარეალიზაციო ღირებულების 10%-ს**, რომელთა მოძიება მოხდა **„შემსრულებლის“** მიერ (შემდეგში - **„კლიენტ(ებ)ი/მყიდველ(ებ)ი“**);

2.2. **„დამკვეთის“** მიერ **„შემსრულებლისათვის“ „მომსახურების“** ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს **„აქტივ(ებ)ის“** რეალიზაციის მომენტიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში;

2.3. **მომსახურების“** ღირებულებაზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანების გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტსა და საპენსიო ფონდში **„დამკვეთი“** ახდენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით.

3. „მხარეთა“ ვალდებულებები

3.1. **„დამკვეთი“** ვალდებულია:

3.1.1. გადასცეს **„შემსრულებელს“ „აქტივ(ებ)ის“** სრული ჩამონათვალი;

3.1.2. შეატყობინოს **„შემსრულებელს“ „აქტივ(ებ)ის“** ჩამონათვალში შესული ნებისმიერი ცვლილება (მაგ.: **„დამკვეთის“** მიერ აქტივ(ებ)ის საკუთარი გზებით რეალიზაციისას, **„აქტივ(ებ)ის“** გაუვარგისება/განადგურებისას და სხვ.), შესაბამისი გარემოების დადგომიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში;

3.1.3. უზრუნველყოს **„კლიენტ(ებ)ის/მყიდველ(ებ)ის“** მიერ **„აქტივ(ებ)ის“** დათვალიერება და მათთვის **„აქტივ(ებ)თან“** დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიწოდება;

3.1.4. შეატყობინოს **„შემსრულებელს“„კლიენტ(ებ)ზე/მყიდველ(ებ)ზე“ „აქტივ(ებ)ის“** რეალიზაციის შესახებ და გადასცეს მას რეალიზაციის

დოკუმენტები (ხელშეკრულებ(ებ)ი, ზედნადებ(ებ)ი, ანგარიშ-ფაქტურ(ებ)ი და სხვ.), რეალიზაციის განხორციელებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში;

3.1.5. შეასრულოს **„ხელშეკრულებითა“** და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3.2. **„დამკვეთი“** ვალდებულია:

3.2.1. შეასრულოს **„მომსახურება“** ჯეროვნად და კეთილსინდისიერა;

3.2.2. გასწიოს **„მომსახურება“** მაღალი ხარისხით, საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;

3.2.3. დროულად, წერილობით ან/და ზეპირად შეატყობინოს **„დამკვეთს“** მის (**„შემსრულებლის“**) მიერ მოძიებული ახალი კლიენტ(ებ)ის/მყიდველ(ებ)ის შესახებ;

3.2.4. შეასრულოს **„ხელშეკრულებითა“** და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

4. „მხარეთა“ ვალდებულებები

4.1. კლიენტ(ებ)ი/მყიდველ(ებ)ი **„შემსრულებლის“** მიერ მოძიებულად ჩაითვლება მაშინაც კი, თუ **„შემსრულებელი“** მოიძიებს ისეთ კლიენტ(ებ)ს/მყიდველ(ებ)ს, რომელთანაც **„დამკვეთს“** გააჩნია ნაცნობობა ან/და აკავშირებს ბიზნეს ურთიერთობა;

4.2. იმ შემთხვევაში, თუ **„დამკვეთი“** კლიენტ(ებ)ს/მყიდველ(ებ)ს არ აღიარებს **„შემსრულებლის“** მიერ მოძიებულად, მან ამის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს **„შემსრულებელს“**, მისგან ახალი კლიენტ(ებ)ის/მყიდველ(ებ)ის მოძიების შესახებ ინფორმაციის (წერილობით, ელექტრონულად, ზეპირად ან სხვ. ფორმით) მიღებისთანავე;

4.3. **„მხარეები“** თანხმდებიან, რომ **„ხელშეკრულებით“** **„შემსრულებელი“** არ იძლევა გარანტიას, რომ აუცილებლად იპოვის კლიენტ(ებ)ს/მყიდველ(ებ)ს.

5. „მხარეთა“ ვალდებულებები

5.1. „**ხელშეკრულება**“ ძალაში შედის **„მხარეთა“** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს _____. _____._____.-მდე;

5.2. **„ხელშეკრულება“** ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს **„მხარეთა“** შეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

„დამკვეთი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ [პ/ნ _____], დირექტორი/

„შემსრულებელი“: ფ/პ _____ _____ (პ/ნ _____)

_____

_____ „დამკვეთი“ _____ „შემსრულებელი“